

სხდომის ოქმი #8

ქ. თბილისი

4 მაისი, 2016 წელი

სხდომას ესწრება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ 2015 წლის 17 ივნისს არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ედიშერ მაჩაიძე
2. გივი გოგოძე
3. ლუდვიგ ლაღანიძე
4. ვასილ ბაკაშვილი
5. ვასილ ლიპარტელიანი
6. გიორგი თხელიძე
7. ნესტან ეგეტაშვილი
8. მურად გარუჩავა
9. ირაკლი ჩაგანავა
10. ელისო კვანტალიანი
11. მურზა გუჯეჯიანი
12. არჩილ სოლომნიშვილი

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ვლადიმერ ბოჟაძის, მიმდინარე ანგარიშის მოსმენა;
2. სხვადასხვა.

სხდომა გახსნა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ. მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, ვლადიმერ ბოჟაძეს. ვლადიმერ ბოჟაძემ გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ადმინისტრაციის მუშაობის მიმდინარე ანგარიში (იხ. დანართი #).

ამის შემდეგ, სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ჩვენი უნივერსიტეტის მხირან მომზადებულიყო სპორტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ნუსხა. მან მადლობა გადაუხადა ვლადიმერ ბოჟაძეს დისპანსერთან დაკავშირებით გაწეული თანადგომისათვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ახლადჩამოყალიბებული კლუბი იქნება ყველა ფედერაციის

წევრი, შესაბამისად ჩვენი უნივერსიტეტი წარმოდგენილი იქნება ყველა ფედერაციასთან. ასევე განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტი ითანამშრომლებდა სხვადასხვა ფედერაციებთან, რომლებიც თანამონაწილენი გახდებოდნენ სტუდენტთა პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში და გაუწევდნენ მათ დახმარებას. ასევე აღნიშნა, რომ მიესალმება უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის გახსნას.

აზრი გამოთქვა გივი გოგოძემ და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი სპორტუნის კლუბში გავაწევრიანებთ გარეშე პირებს, ცნობად სახეებს, რომლებიც დაეხმარებიან კლუბს.

სტუდენტმა გიორგი თხელიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების უმრავლესობას უჭირს სწავლის საფასურის გადახდა და კითხვა დაუსვა ვლადიმერ ბოჟაძეს, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება და მათი დახმარება.

ვლადიმერ ბოჟაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად თანამშრომლობს ფედერაციებთან, თუმცა ისინი სტუდენტების ფინანსურ დახმარებაზე თავს იკავებენ. აღნიშნა, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დააფინანსოს სპორტსა და აკადემიურ მოსწრებაში წარმატებული სტუდენტები. განაცხადა, რომ ამ საკითხზე იგი ესაუბრა სპორტის მინისტრს, თუმცა ამ ეტაპზე ეს თემა დახურულია.

ლუდვიგ ღაღანიძემ გამოთქვა საკუთარი აზრი იმის შესახებ, რომ საჯარო სკოლებში არ არიან სპორტის პროფესიონალი მასწავლებლები და დასვა კითხვა, გაიხსნება თუ არა ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგიკის ფაკულტეტი.

ვლადიმერ ბოჟაძემ ამ კითხვაზე აღნიშნა, რომ უკვე წელს გვექნება აბიტურიენტების მიღება პედაგოგიურ ფაკულტეტზე და სავარაუდოდ, ერთი ჯგუფი შეივსება.

სხდომის ოქმი აწარმოა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანმა ნესტან ეგეტაშვილმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
თავმჯდომარე - სპიკერი



/ედომერ მაჩაიძე/

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის მდივანი



/ნესტან ეგეტაშვილი/